



N 3668/01
06/04/2020

3668-01-2-202004061503



ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: შპს „ტექნო 2016“-ს

მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3,
I მ/რ, კორ. 14, ბ. 36

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 9 მარტს შპს „ტექნო 2016“-მა სამინისტროში წარმოადგინა ქ. ჭიათურაში, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. აღნიშნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა ჩანიშნული იყო 2020 წლის 28 აპრილს, 13:00 საათზე ქ. ჭიათურის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებული იქნა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი -<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/22475>).

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულებით გაცემული იქნა რეკომენდაცია სამსახურებრივი მივილინებების შეზღუდვის შესახებ, რის საფუძველზეც, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიმდინარე წლის 24 მარტს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გაავრცელა განცხადება, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ შესაბამისად, დაგეგმილი სკოპინგის ანგარიშის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების გადადების შესახებ (იხ. ლინკი -<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/24496>).

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის შესაბამისად, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით. საჯარო სივრცე არის როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ არსებული ნებისმიერი ადგილი, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელი მიზნებისთვის

გამოსაყენებელ ადგილს. რამდენადაც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, ყოველ ინდივიდუალურ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საჯარო განხილვების ჩატარება, სადაც მონაწილეობის სურვილი შეიძლება გამოთქვას არაერთმა დაინტერესებულმა პირმა. აღნიშნული ზრდის საქართველოში კორონავირუსის გავრცელების რისკებს და ეწინააღმდეგება მთავრობის თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია კორონავირუსის გავრცელების პრევენციისაკენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, არ ჩერდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შესაბამისად, საჭიროა შეუფერხებლად გაგრძელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები.

შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №196 დადგენილების თანახმად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები (რომელთა მიმდინარეობისას კოდექსით გათვალისწინებული საჯარო განხილვები ვერ ჩატარდა/ჩატარდება ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით) განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე და ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება წერილობით (მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6) ან ელექტრონული საშუალებით (ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge). ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცვლილება არ ეხება საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს და საშუალებებს. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს, დაინტერესების შემთხვევაში, ამომწურავად მიეწოდება ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ შპს „ტექნო 2016“-ს მიერ წარმოდგენილ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე. (იხ. განცხადების ლინკი -<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/25554>) სამინისტროში წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, დამატებით ატვირთულია პრეზენტაცია, სადაც შეგიძლიათ იხილოთ მოკლე ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ამასთან, **კორონავირუსის პრევენციის ღონისძიებების შეზღუდვების გათვალისწინებით, შესაძლებლობის შემთხვევაში გთხოვთ**

ინფორმაცია განათავსოთ აგრეთვე სასურსათო და სააფთიაქო ქსელთან (სადაც არ ვრცელდება აღნიშნული შეზღუდვები) და წარმოგვიდგინოთ დამადასტურებელი ფოტომასალა.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 14 მაისამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

